# კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე | Bachelor's Program in Psychology (delivered in English) |
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | აკადემიური |

| | |
|---|---|
| სწავლების ენა | ინგლისური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი | |
| ქართულად: | ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0313) |
| ინგლისურად: | Bachelor of Psychology (0313) |
| პროგრამის დამტკიცების თარიღი | კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება №01/01-85. 07.12.2020 |
| პროგრამის განახლების თარიღი | კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება №01/01-30. 24.06.2022 |
| პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი | ფსიქოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაია მაჭავარიანი-წერეთელი |

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ჰუმანიტარული სკოლის სტუდენტებისთვის 4 წელს შეადგენს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ. საათს).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ძირითადი სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები მოიცავს 185 ECTS კრედიტს, ხოლო თავისუფალი კომპონენტები მოიცავს 55 ECTS კრედიტს.

- იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, დოკუმენტურად დაადასტურებს

პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის დონეს, იგი თავისუფლდება ინგლისური ენის გავლისგან და ამ კრედიტების ფარგლებში შეისწავლის ქართულ ენას. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი ამავდროულად ფლობს ქართულ ენასაც, მაშინ იგი უფლებამოსილია აღნიშნული კრედიტების ფარგლებში შეისწავლოს სხვა უცხო ენა ან აითვისოს ისინი თავისუფალი კრედიტების პრინციპით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS – 6.0; TOEFL – 78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მოცემულ პროგრამას გააჩნია 3 ძირითადი მიზანი:<br><br>**პროგრამის პირველი მიზანი**ა დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით და შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც სხვებთან ინერაქციის პროცესში, ისე საკუთარ ქცევასთან და სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში.<br><br>**პროგრამის მეორე მიზანი**ა ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიისა და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით ძირითადი ცნებების, პრინციპების, თანამედროვე გამოწვევების შესახებ გარღმავებული ცოდნის შეძენა.<br><br>**პროგრამის მესამე მიზანი**ა ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. |
| პროგრამის სწავლის შედეგები | **სწავლის შედეგი** 1<br><br>პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები ავლენენ ფსიქლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას.<br>• აღწერენ ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების, შესწავლის საგანს და ისტორიულ წანამძღვრებს;<br>• განახსვავებენ ფსიქოლოგიის სფეროს ქცევით, ბიოლოგიურ კოგნიტურ, ჰუმანისტურ, ფსიქოდინამიკურ და სოციოკულტურულ პერსპექტივებს;<br>• ავლენენ ფსიქოლოგიის ცალკეული მიმართულებებისა და გამოყენებითი სფეროების როგორიცაა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, სოაციალური და კულტურული, ორგანიზაციული და ადამინური რესურსების, სისტემურ ცოდნას;<br>• აჯამებენ და იყენებენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, კლინიკურის, სოციალურის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კვლევის შედეგებს.<br><br>**სწავლის შედეგი 2**<br>პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები კვლევის თანამედროვე საშულებებისა და მიდგომების გამოყენებით ატარებენ კვლევას (ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით).<br>• გამოყოფენ ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, სტატისტიკური დამუშავებისა და შეზღუდვების გათვალისწინების საფეხურებს.<br>• იყენებენ აღწერით და დასკვნით სტატისტიკურ მიდგომებს |

მონაცემთა რაოდენობრივი დამუშავების მიზნით;
- იყენებენ კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სტატისტიკური ანალიზის სტრატეგიებს;
- ახდენენ საკვლევი საკითხების სათანადოდ ფორმულირებას, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას.

**სწავლის შედეგი 3**

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები იყენებენ მოცემული სფეროს ფუნდამენტური ეთიკური პრინციპებისა და პასუხიმგებლობის შესახებ ცოდნას.

- განასხვავებენ ინფორმაციის გამოყენების ეთიკურ და არაეთიკურ საშუალებებს;
- განსაზღვრავენ და იყენებენ ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ჰუმანურობა, კონფიდენციალობა, ტოლერანტობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება;
- იყენებენ ფსიქოლოგიური ეტიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში.
- მონაწილეობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და დამკვირების პროცესებში.

**სწავლის შედეგი 4**

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები ავლენენ კრიტიკული აზროვნების, ამოცანის გადაწყვეტისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

- აანალიზებენ და იყენებენ შესაბამის ინფორმაციას (ინტერნეტის წყაროებიდან, საბიბლიოთეკო წყაროებიდან) ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- ანალიზის საფუძველზე, გამოყოფენ და გადაამუშავებენ ამოცანის ან პრობლემის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- გამოიმუშავებენ რთული ამოცანების გადაჭრის ახლებურ და ორიგინალურ მეთოდებს;
- აფასებენ კვლევის ძლიერ და სუტს მხარეებს, კრიტიკულად აანლიზებენ ფსიქოლოგიური საკითხების შესახებ ინფორმაციას.

**სწავლის შედეგი 5**

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები საერთაშორისო პროგრამებში მონაწილობის მისაღებად და/ან შემდგომ (მაგისტრატურის) საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ავლენენ საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

- ავლენენ პროფესიული და სამეცნიერო წერითი და ვერბალური ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.
- ავლენენ ინგლისური ენის შესაბამის კომპეტენციას, მათ შორის პროფესიული კომუნიკაციის და სამუშაო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიასა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს.
- აყალიბებენ იდეებს და გეგმავს პროექტებს დამოუკიდებლად;

| | |
|---|---|
| | • გეგმავენ და ახორციელებს შესაბამის ამოცანებს სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.<br>• ავლენენ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობას, ასევე აცნობიერებენ ყოველდღიური პრობლემების ფსიქოლოგიური სირთულესა და განუსაზღვრელობას;<br>• აფასებენ სასწავლო პროცესს და ეფექტურად წყვეტენ წამოჭრილ პრობლემებს;<br>• იკვლევენ და ადეკვატურად აფასებენ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირისათვის არსებულ განათლებისა და კარიერულ შესაძლებლობებს. |
| **დასაქმების სფეროები** | ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის დასრულებამდე დაიწყოს ზრუნვა პროფესიულ კარიერაზე, ჩაერთოს სტაჟირების პროგრამებში.<br><br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში და სხვ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; ტრენინგის ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა), სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, კერძო პრაქტიკა და ა.შ. |
| **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა** | ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს მთელი რიგი მეთოდების გამოყენებას:

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქციური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერითი მუშაობის მეთოდი
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.
5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.
6. პრეზენტაცია

პირობითობისა და კრიტიკული მიდგომის ერთობლიობით, პროგრამას გააჩნია შემოქმედებითი და კრიტიკული პოზიციების კოორდინირების სტატუსი. მოძრავი გამოსახულებისა და მისგან წამოსული ინფორმაციის კომბინირების ხერხები და საშუალებები სწავლების ის ალტერნატივაა, რომელიც ასეთ კომბინაციას მსოფლიოში აპრობირებულ ტრადიციებსაც უახლოებს და სწავლების ნოვაციას ქმნის.

# საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

| № | სასწავლო კურსის კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი\მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| | | | **ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები** | **10** | **10** | **5** | | | | | | **25** |
| 1. | ACWR 0007E | არ აქვს | აკადემიური წერა | 5 | | | | | | | | 5 |
| 2. | CSC 1160E | არ აქვს | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 5 | | | | | | | | 5 |
| 3. | HIST 0003E | არ აქვს | საქართველოს ისტორია | | 5 | | | | | | | 5 |
| 4. | PHIL 1260E | არ აქვს | თანამდეროვე აზროვნების საფუძვლები | | 5 | | | | | | | 5 |
| 5. | ISOC 2160E | არ აქვს | სოციოლოგიის შესავალი | | | 5 | | | | | | 5 |
| | | | **ზოგადი ინგლისური/ქართული (სავალდებულო)** | **5** | **5** | **5** | **5** | | | | | **20** |
| 1. | ENGF 0001 /GEO 0001E | არ აქვს | B2+ ზოგადი ინგლისური ენის უნარები 1/ქართული ენა A1 | 5 | | | | | | | | 5 |
| 2. | ENGF 0002 /GEO 0002E | ENGF 0001 / GEO 0001E | B2+ ზოგადი ინგლისური ენის უნარები 2/ქართული ენა A2 | | 5 | | | | | | | 5 |
| 3. | ENGL 0009E/GEO 0003E | ENGF 2 / GEO 0002E | C1.0 ზოგადი ინგლისური/ ქართული ენა B1.1 | | | 5 | | | | | | 5 |
| 4. | ENGL 0010E/GEO 0004E | ENGL 0009E/ GEO 0003E | C1 ზოგადი ინგლისური/ ქართული ენა B1.2 | | | | 5 | | | | | 5 |

| № | სასწავლო კურსის კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი\მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| | | | **პროფესიული ინგლისური (სავალდებულო)** | 5 | 5 | | | | | | | 10 |
| 5. | ENGS 0160E | None | PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები) | 5 | | | | | | | | 5 |
| 6. | ENGS 0260E | ENGS 0160E | PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები) | | 5 | | | | | | | 5 |
| | | | **სავალდებულო პროფესიული სასწავლო კურსები** | **10** | **10** | **20** | **25** | **25** | **15** | **5** | **10** | **120** |
| 1. | PSYC 1160E | არ აქვს | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | 5 | | | | | | | | 5 |
| 2. | PSYC 1162E | არ აქვს | ბიოფსიქოლოგია 1 | 5 | | | | | | | | 5 |
| 3. | PSYC 1260E | PSYC 1160E | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | | 5 | | | | | | | 5 |
| 4. | PSYC 1265E | PSYC 1162E | ბიოფსიქოლოგია 2 | | 5 | | | | | | | 5 |
| 5. | PSYC 1264E | არ აქვს | ფსიქოლოგიის ისტორია | | | 5 | | | | | | 5 |
| 6. | PSYC 2165E | PSYC 1260E | განვითარების ფსიქოლოგია | | | 5 | | | | | | 5 |
| 7. | PSYC 2166E | PSYC 1260E | პოზიტიური ფსიქოლოგია | | | 5 | | | | | | 5 |
| 8. | PSYC 2167E | PSYC 1260E, PSYC 1162E | კოგნიტური ფსიქოლოგია 1 | | | 5 | | | | | | 5 |
| 9. | PSYC 2261E | PSYC 1260E | პიროვნების ფსიქოლოგია | | | | 5 | | | | | |
| 10. | PSYC 2264E | PSYC 2167E | კოგნიტური ფსიქოლოგია 2 | | | | 5 | | | | | 5 |
| 11. | PSYC 2265E | PSYC 1260E | ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1 | | | | 5 | | | | | 5 |
| 12. | PSYC 2266E | PSYC 1260E; PSYC 2165E | განათლების ფსიქოლოგია | | | | 5 | | | | | 5 |
| 13. | PSYC 2267E | PSYC 1162E, PSYC 1260E | კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი | | | | 5 | | | | | 5 |
| 14. | PSYC 3162E | PSYC 1260E | სოციალური ფსიქოლოგია | | | | | 5 | | | | 5 |
| 15. | PSYC 3163E | PSYC 2265E | ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2 | | | | | 5 | | | | 5 |
| 16. | SPSS 3160E | PSYC 2265E | შესავალი მონაცემთა ანალიზში SPSS-ის გამოყენებით | | | | | 5 | | | | 5 |

| № | სასწავლო კურსის კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი\მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| 17. | PSYC 3164E | PSYC 1162E, PSYC 2264E, PSYC 2267E | ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები | | | | | 5 | | | | 5 |
| 18. | PSYC 3165E | PSYC 1260E; PSYC 2267E | შესავალი ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში | | | | | 5 | | | | 5 |
| 19. | PSYC 3264E | PSYC 2261E; PSYC 2267E | პათოფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | 5 |
| 20. | PSYC 3265E | PSYC 1260E, PSYC 2267E | ფსიქოთერაპიის შესავალი | | | | | | 5 | | | 5 |
| 21. | SPSS 3261E | SPSS 3160E | მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი SPSS-ის გამოყენებით | | | | | | 5 | | | 5 |
| 22. | PSYC 4160E | PSYC 3163E; PSYC 2264E, PSYC 2261E | ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები | | | | | | | 5 | | 5 |
| 23. | THES 4260E | ACWR 0007E; SPSS 3261E, PSYC 3163E | საბაკალავრო ნაშრომი | | | | | | | | 10 | 10 |
| | | | **არჩევითი პროფესიული სასწავლო კურსები** | | | | | **5** | **15** | **25** | **20** | **65** |
| 1. | EPSY 3164E | PSYC 1260E; PSYC 1264E | ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები | | | | | 5 | | | | 5 |
| 2. | EPSY 3165E | არ აქვს | ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები | | | | | 5 | | | | 5 |
| 3. | EPSY 3166E | PSYC 1260E, PSYC 2264E | ემოციის ფსიქოლოგია | | | | | 5 | | | | 5 |
| 4. | EPSY 3265E | PSYC 1260E | იურიდიული ფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | |
| 5. | EPSY 3266E | PSYC 1260E | სპორტის ფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | 5 |
| 6. | EPSY 3267E | PSYC 1260E, PSYC 3162E | ევოლუციური ფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | 5 |
| 7. | EPSY 3268E | არ აქვს | კრეატიულობის ფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | 5 |
| 8. | EPSY 3269E | არ აქვს | ხელოვნების ფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | 5 |

| № | სასწავლო კურსის კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი\მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| 9. | HPSY 3260E | PSYC 2267E | ჯანმრთელობის ფსიქოლოგია | | | | | | 5 | | | 5 |
| 10. | MFU 3260E | არ აქვს | მაინდფულნესზე დაფუძნებული პროგრამების საფუძვლები | | | | | | 5 | | | 5 |
| 11. | EPSY 4160E | PSYC 2261E | შესავალი ფსიქოანალიზში | | | | | | | 5 | | 5 |
| 12. | EPSY 4260E | PSYC 2165E | ქცევის გამოყენებითი ანალიზი | | | | | | | | 5 | 5 |
| | | | **მეორე უცხო ენა (არჩევითი)** | | | | | | | | | |
| 13. | ESP 0001E; TURK 0001E; ITA 0001E; FARS 0001E; FREN 0001E; GERM 0001E | არ აქვს | მეორე უცხო ენა A1.0 | | | | | 5 | | | | **5** |
| 14. | ESP 0002E; TURK 0002E; ITA 0002E; FARS 0002E; FREN 0002E; GERM 0002E | ESP 0001E; TURK 0001E; ITA 0001E; FARS 0001E; FREN 0001E; GERM 0001E | მეორე უცხო ენა A1 | | | | | | 5 | | | **5** |
| 15. | ESP 0003E; TURK 0003E; ITA 0003E; FARS 0003E; FREN 0003E; GERM 0003E | ESP 0002E; TURK 0002E; ITA 0002E; FARS 0002E; FREN 0002E; GERM 0002E | მეორე უცხო ენა A2.0 | | | | | | | 5 | | **5** |

| № | სასწავლო კურსის კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი\მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| 16. | ESP 0004E; TURK 0004E; ITA 0004E; FARS 0004E; FREN 0004E; GERM 0004E | ESP 0003E; TURK 0003E; ITA 0003E; FARS 0003E; FREN 0003E; GERM 0003E | მეორე უცხო ენა A2 | | | | | | | | 5 | **5** |
| | | | **არჩევითი მოდულები** | | | | | | | | | |
| | | | **კლინიკური ფსიქოლოგია** | | | | | | | | | |
| 1. | CPSY 4160E | PSYC 2267E | შესავალი ფსიქოსომატიკაში | | | | | | | 5 | | 5 |
| 2. | CPSY 4161E | PSYC 1162E; PSYC 3264E | კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები | | | | | | | 5 | | 5 |
| 3. | CPSY 4162E | PSYC 1162E | შესავალი სექსოლოგიაში | | | | | | | 5 | | 5 |
| 4. | CPSY 4262E | PSYC 2267E; PSYC 1260E | გეშტალტთერაპია | | | | | | | | 5 | |
| 5. | CPSY 4263E | PSYC 1162E, PSYC 3164E | ნეირომეცნიერების კვლევის მეთოდები | | | | | | | | 5 | 5 |
| 6. | CPSY 4264E | PSYC 2165E; PSYC 3264E | ბავშვთა და მოზარდთა პათოფსიქოლოგია | | | | | | | | 5 | 5 |
| | | | **ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია** | | | | | | | | | |
| 1. | MPSY 4160E | PSYC 1260E | ადამიანური რესურსების მართვა | | | | | | | 5 | | 5 |
| 2. | MPSY 4161E | PSYC 1260E | ორგანიზაციული ფსიქოლოგია | | | | | | | 5 | | 5 |
| 3. | MPSY 4162E | არ აქვს | პროექტის დაგეგმვა და მართვა | | | | | | | 5 | | 5 |
| 4. | MPSY 4263E | PSYC 2264E | ადამიანის ფაქტორის ფსიქოლოგია | | | | | | | | 5 | |
| 5. | MPSY 4264E | PSYC 1260E | პერსონალის შერჩევა | | | | | | | | 5 | 5 |
| 6. | MPSY 4265E | არ აქვს | სოციალურ-ფსიქოლოგიური ტერნინგის მართვის ტექნოლოგია | | | | | | | | 5 | |

| № | სასწავლო კურსის კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი\მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| | | | **გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია** | | | | | | | | | |
| 1. | SPSY 4163E | PSYC 1260E, PSYC 3162E, PSYC 2264E, PSYC 3163E | გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია | | | | | | | 5 | | 5 |
| 2. | SPSY 4164E | PSYC 1260E, PSYC 3162E, PSYC 2264E, PSYC 3163E | სოციალური კოგნიცია და ატიტუდები | | | | | | | 5 | | 5 |
| 3. | SPSY 4165E | PSYC 3162E | ცრუ რწმენების, სტერეოტიპების და დისკრიმინაციის ფსიქოლოგია | | | | | | | 5 | | 5 |
| 4. | SPSY 4263E | არ აქვს | გარემოს და დიზაინის ფსიქოლოგია | | | | | | | | 5 | 5 |
| 5. | SPSY 4264E | არ აქვს | საზოგადოებასთან ურთიერთობა | | | | | | | | 5 | 5 |
| | | | სემესტრი | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | |
| | | | წელი | 60 | | 60 | | 60 | | 60 | | |
| | | | | 10 | | 10 | | 10 | | 10 | | |

**შენიშვნა:**

პროგრამა ასევე სთავაზობს თავისუფალი კრედიტების კომპონენტს 20 ECTS კრედიტის მოცულობით.